

1.სამართლიანობის სახეები

განასხვავებენ სამართლიანობის ორ ძირითად სახეს: განაწილებითი სამართლიანობა და გათანაბრებითი სამართლიანობა.

განაწილებითი სამართლიანობა მოიცავს ამა თუ იმ სიკეთის განაწილების პროცესს და მასში მონაწილე სულ მცირე, სამ სუბიექტს(მათ შორის, სახელმწიფოს). განაწილებითი სამართლიანობა დიდ როლს თამაშობს იერარქიული სტრუქტურის მქონე ურთიერთობებში. ამ შემთხვევაში განაწილების მასშტაბი შეიძლება იყოს თანასწორობა, შეტანილი წვლილი ან მოთხოვნილება. თანასწორობის პრინციპის მიხედვით თითოეულს უნდა მიეკუთვნოს თანაბარი წილი. შეტანილი წვლილის მიხედვით განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს გასანაწილებელი სიკეთის შექმნაში ინდივიდის მონაწილეობის ხარისხი. მოთხოვნილების პრინციპის თანახმად, თითოეულს ეკუთვნის თავისი მოთხოვნილების შესაბამისად.

გათანაბრებითი სამართლიანობა მოიცავს ურთიერთობებს, რომლებსაც არ აქვთ იერარქიული სტრუქტურა. განაწილებითი სამართლიანობისგან განსხვავებით, ის არაა დამოკიდებული პირის ინდივიდუალურ შეხედულებებზე. თითოეულმა უნდა მიიღოს თავისი კუთვნილი სიკეთე. არცერთი მხარე არ უნდა იყოს წაგებული ან მოგებული. გათანაბრებითი სამართლიანობის შემთხვევაში რთულია განაწილების მასშტაბის დადგენა. ამ შემთხვევაში თანასწორობას აყალიბებს არითმეტიკული პროპორციულობა.

2.სამართლიანობა და თანასწორობა

თანასწორობა რეალურ სინამდვილეში არ არსებობს. სრული თანასწორობის ცნება შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ მხოლოდ ჰიპოთეტიურად. ბუნებაში არ არსებობს თუნდაც ორი, აბსოლუტურად იდენტური მოვლენა. თანასწორობა სამართლის ფუძემდებლური პრინციპია. თანასწორობის პრინციპი დასაბამს იღებს ღმერთის წინაშე ადამიანის თანასწორობის ქრისტიანული იდეიდან. რაც შეეხება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, იგი ჩამოყალიბდა აღორძინებისა და განმანათლებლების ეპოქაში. კანონის წინაშე ადამიანის თანასწორობა არის საყოველთაო, ზოგადი პრინციპი. კანონით აკრძალულია დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა. კანონის წინაშე თანასწორობა კონსტიტუციური პრინციპია. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ კანონმდებელმა საგნობრივად უთანასწორო განიხილოს როგორც თანასწორი, ხოლო საგნობრივად თანასწორი-როგორც უთანასწორო. სამართალს ახასიათებს მხოლოდ ფორმალური თანასწორობა. ფაქტობრივი თანასწორობა სამართლიანობის პრობლემაა. ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. მაგრამ კანონი არ ამბობს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია.

3.სამართლიანობის თეორიები

განასხვავებენ სამართლიანობის ანალიტიკურ, ემპირიულ და ნორმატიულ თეორიებს.

ანალიტიკური თეორია ანალიზებს სამართლიანობის ცნების ლოგიკურ სტრუქტურასა და ლინგვისტურ შინაარსს. ის, ჩვეულებრივ, ემპირიული ან ნორმატიული თეორიების ნაწილს წარმოადგენს.

ემპირიული(დესკრიფციული) თეორია ისტორიულად, სოციოლოგიურად, ფსიქოლოგიურად ანალიზებს სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს; არკვევს ამ შეხედულებების როლს საზოგადოების განვითარების პროცესში.

ნორმატიული თეორია არა მარტო აღწერს ადამიანთა ფაქტობრივ ღირებულებით წარმოდგენებს, არამედ ახდენს მათ შეფასებას. ნორმატიულ თეორიაში გამოიყოფა სამართლიანობის პროცედურული და მატერიალური თეორიები. სამართლიანობის მატერიალური თეორია ცდილობს კონკრეტულად განსაზღვროს რა არის სამართლიანი და უსამართლო. პროცედურული თეორია კი აყალიბებს სამართლიანი სამართლის დადგენის წესებსა და პირობებს. განასხვავებენ პროცედურული თეორიის სახელშეკრულებო და სასამართლო მოდელს. სახელშეკრულებო მოდელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანასწორობას და, ასევე, გამორიცხავს იძულებას. სასამართლო მოდელის თანახმად, დავის შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მესამე, დამოუკიდებელმა და კვალიფიციურმა მხარემ.

4.სამართლის წყაროს ცნება და ჩვეულებითი სამართალი

განასხვავებენ სამართლის სოციოლოგიური და იურიდიული წყაროს ცნებებს. სოციოლოგიური წყარო ეწოდება რეალური სინამდვილის იმ ფაქტებს, რომელთა გავლენით ყალიბდება სამართალი. სამართლის იურიდიული წყაროს ცნება მოიცავს პოზიტიურ კანონმდებლობას, იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას, სასამართლო პრაქტიკას, მართლშეგნებას. იურიდიული წყარო არის პრესკრიფციული(ნორმატიული). იურიდიული წყარო ადგენს ქცევის შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნებს. ვიწრო გაგებით სამართლის წყაროდ მიჩნეულია ის სპეციფიკური ნორმები, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს. ჩვეულებითი სამართალი სამართლის უძველესი წყაროა. ჩვეულებითი სამართალი ეფუძნება ნორმის გამოყენების ხანგრძლივ ტრადიციასა და მისი სავალდებულობის შესახებ საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებულ რწმენას. ჩვეულებითი სამართალი არის არა სამართალშემოქმედების აქტი, არამედ განვითარების შედეგი. ჩვეულებითი სამართლის ნორმა შეიძლება საკანონმდებლო ნორმის საფუძველიც იყოს.

5.სამართლის წყაროს ცნება და იურისტების სამართალი

განასხვავებენ სამართლის სოციოლოგიური და იურიდიული წყაროს ცნებებს. სოციოლოგიური წყარო ეწოდება რეალური სინამდვილის იმ ფაქტებს, რომელთა გავლენით ყალიბდება სამართალი. სამართლის იურიდიული წყაროს ცნება მოიცავს პოზიტიურ კანონმდებლობას, იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას, სასამართლო პრაქტიკას, მართლშეგნებას. იურიდიული წყარო არის პრესკრიფციული(ნორმატიული). იურიდიული წყარო ადგენს ქცევის შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნებს. ვიწრო გაგებით სამართლის წყაროდ მიჩნეულია ის სპეციფიკური ნორმები, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს. იურისტების სამართალი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ რომში. ძვ.წ. I-II საუკუნეების რომში სამართლის ცოდნა საზოგადოების წარჩინებული ფენების-სენატორების და, მოგვიანებით, მოსამართლეების პრივილეგია იყო. იურისტთა შეხედულებები ძველ რომში განიხილებოდა როგორც პოზიტიური სამართლის შემადგენელი ნაწილი. “ იურისტების სამართალი“ ეწოდება სწავლული იურისტების ან სამართალმცოდნეთა გარკვეული ჯგუფის მიერ განვითარებული შეხედულებების ერთობლიობას. შუა საუკუნეებში სწავლულ იურისტთა შეხედულებებს კანონის ძალა ჰქონდა. იურიდიულ მეცნიერებაში განვითარებულ შეხედულებებს დღესაც უწევს ანგარიშს დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში. თუმცა, „იურისტების სამართლის“ როლი თანამედროვე პერიოდში მნიშვნელოვნად დაეცა. სამეცნიერო შეხედულება უნდა განვიხილოთ როგორც რეკომენდაცია, რჩევა, რომელსაც არ აქვს არანაირი ლეგიტიმაცია.

6.სამოსამართლო სამართალი

მართლმსაჯულება შებოჭილია კონსტიტუციითა და კანონით. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს“. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ძირითადი კანონი კრძალავს სამოსამართლო სამართალს, როგორც სამართლის წყაროს. ამავე დროს, მართლწესრიგი არ შეიძლება იყოს იდეალურად სრულყოფილი. კანონი ვერ გაითვალისწინებს ურთიერთობების გადაწყვეტის ყველა შესაძლო მოდელს. მოსამართლეს ხშირად უწევს იმ ურთიერთობის გადაწყვეტა, რომელიც არაა მოწესრიგებული სამართლის ნორმით. სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყაროს საკითხი, სადავოა იურიდიულ ლიტერატურაში.

7.ნორმატიული აქტი, როგორც სამართლის წყარო

ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების მიერ კანონმდებლობის დაცვით მიღებული (გამოცემული), შესაულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს მრავალჯერადი გამოყენების

ქვეყნის წესს და ხშირ შემთხვევაში, მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ. ნორმატიული აქტები შედგება შემდეგი რეკვიზიტებისგან: ა) ნორმატიული აქტის სახე; ბ) ნორმატიული აქტის სათაური; გ) ნორმატიული აქტის მიღების თარიღი და ადგილი; დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა; ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა; ვ) ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ასევე სახელმწიფო რეესტრში გატარების შემდგომ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი. ნორმატიული აქტების იერარქია:

1. კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი;
2. კონსტიტუციური შეთანხმება;
3. საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
4. ორგანული კანონი;
5. საქართველოს კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი, პარლამენტის რეგლამენტი;
6. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

8. კანონის ცნება, ლოგიკური, ბუნებისა და იურიდიული კანონები

კანონი სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. ქართულ ენაში „კანონი“ ბერძნულიდან შემოვიდა, ის ითვლებოდა სათნოებისა და ბოროტების საზომად. ქართულ სამართალში „კანონს“ მრავალგვარი მნიშვნელობა ჰქონდა-იგი აღნიშნავდა სამართლის წიგნის მუხლს, კანონთა კრეცვლს, სამართლის ძეგლს ან სასამართლო წიგნს. გარკვეული ხნის მანძილზე „კანონი“ სასჯელის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა. განასხვავებენ ლოგიკურ კანონებს, ბუნების კანონებს და იურიდიულ კანონებს. პირველი ჩამოყალიბდა იურიდიული კანონის ცნება. იურიდიული კანონი სავალდებულოა და ზოგადი. აქვს იძულებითი ხასიათი. როგორც ყველა კანონი, იურიდიული კანონი პირობითი ხასიათისაა. იურიდიული კანონი განსხვავდება ბუნებისა და ლოგიკის კანონებისგან. მისი განხორციელების ვარიანტები უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ბუნების ან მეცნიერული კანონებისა. კანონი ფორმალური გაგებით ეწოდება ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, ხოლო მატერიალური გაგებით კანონი ეწოდება სახელმწიფოში მოქმედ ყველა იურიდიულად სავალდებულო, აბსტრაქტულ და ზოგად, სამართლებრივ აქტს.

9. კანონის სახეები

საქართველოში მოქმედებს კანონის შემდეგი სახეები: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები. კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი. კონსტიტუცია აყალიბებს სახელმწიფოს სრულყოფილ კონსტრუქციას, განსაზღვრავს სახელმწიფოს წესრიგს, სახელმწიფოს მიზანს, ხელისუფლების სამართლებრივ ჩარჩოებს, ადამიანის ძირითად უფლებებს. კონსტიტუცია სახელმწიფოებრიობის აუცილებელი ნიშანია. კონსტიტუცია არეგულირებს მხოლოდ ფუძემდებლურ და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს. კონსტიტუციური კანონი მიიღება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას და კონსტიტუციის გადასინჯვისას. ის დამოუკიდებლად ვერ იარსებებს-მიღებისთანავე კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი ხდება. მისი მიღებისთვის საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერა. ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული. მაგ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა; საქართველოს პარლამენტის პალატების შემადგენლობა; საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები; მოქალაქეობის მოპოვების და დაკარგვის წესი; პრეზიდენტის არჩევნების წესი; რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. საქართველოს კანონის მიღება

შეიძლება საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე. საქართველოს კანონით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს ორგანული კანონითაა გათვალისწინებული.

10. კონსტიტუცია და საერთაშორისო ხელშეკრულება

საერთაშორისო ხელშეკრულება არის საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო ნორმებით. საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საერთაშორისო ხელშეკრულებას უშუალო მოქმედების ძალა აქვს. შეიძლება უშუალოდ გამოყენებული იქნეს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ.

11. ნორმატიული აქტების რეკვიზიტები და იერარქია

ნორმატიული სამართლებრივი აქტი მიღებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს. ნორმატიული აქტის რეკვიზიტები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს ა) ნორმატიული აქტის სახე ბ) ნორმატიული აქტის სათაური გ) ნორმატიული აქტის მიღების/გამოცემის თარიღი და ადგილი (თუ შეტანილია ზვლილება, მათი შეტანის თარიღიც) დ) ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრულია) ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა ვ) ნორმატიული აქტის მიმღები/გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ, აგრეთვე, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი. ნორმატიული აქტის იურიდიულ ძალას განსაზღვრავს მისი გამომცემი ორგანოს ადგილი სახელმწიფო დაწესებულებათა სისტემაში. საქართველოში დადგენილია ნორმატიული აქტების შემდეგი იერარქია: ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი ბ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება/შეთანხმება გ) საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი (რომელიც ეხება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის საკითხს) დ) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, ე) საქართველოს პარლამენტის ბრძანებულება ვ) საქართველოს პარლამენტის დადგენილება ზ) საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება.

12. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში

ნორმატიული აქტის მოქმედება დროში განისაზღვრება მისი ძალაში შესვლისა და ძალის დაკარგვის ფარგლებით. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ ერთმანეთისგან განასხვავებს ნორმატიული აქტის მიღებას და ძალაში შესვლას. საქართველოს საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე. სხვა ნორმატიული აქტის მიღების/გამოცემის თარიღად კი ითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე. საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ კანონით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. ნორმის ძალაში შესვლის თარიღი ძირითადად განსაზღვრულია კანონით. თუ მითითებულია, რომ კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ნიშნავს, რომ კანონი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე.

კანონი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონი ან მისი ნაწილი შეილება მიღებულ იქნეს განსაზღვრული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ კანონი ძალას კარგავს, თუ დადგენილი წესით არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების შესახებ.

13. ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიხედვით

ნორმატიული აქტის ტერიტორიული მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამომცემი ორგანოს უფლებამოსილების სფერო. საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტი შესასრულებლად სავალდებულოა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტი მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე. პირთა წრის მიხედვით, ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მყოფ უცხოელთა მიმართ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ან საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონი თანაბრად მოქმედებს ყველას მიმართ სქესის, მრწამსის, ეროვნებისა და საქმიანობის მიუხედავად.

14. ხელისუფლების სამართლებრივი საფუძვლები

ხელისუფლება გულისხმობს მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას. სახელმწიფო ხელისუფლება სოციალური ხელისუფლების ერთ-ერთი სახეა.

სამართალსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთმიმართებაზე არსებობს შემდეგი მოსაზრებებები: სამართალი და ხელისუფლება შეიძლება განვიხილოთ როგორც დაპირისპირებული, ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიები.

ხელისუფლება და სამართალი ასევე განიხილება როგორც იდენტური კატეგორიები. ვისაც გააჩნია ხელისუფლების სადავეები ის ადგენს სამართალს. თუმცა ასეთი განხილვა საბოლოო ჰჯამში უარყოფს ხელისუფლების და სამართლის არსებობას და ანარქიისკენ გვიბიძგებს.

ხელისუფლება ხშირად განიხილება, როგორც სამართლის ერთგვარი დანამატი. ხელისუფლება სამართალს ანიჭებს სიცოცხლისუნარიანობას. სამართალი არის ნორმათა ერთობლიობა, ხოლო ხელისუფლება უზრუნველყოფს ამ ნორმების შესრულებას.

ხელისუფლება და სამართალი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. პოზიტიურ სამართალს აქვს წესრიგის ფუნქცია, ხოლო ადამიანის ქცევის მართვის შესაძლებლობა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს.

15. სამართლის მიერ ხელისუფლების შეზღუდვის პრინციპები

სამართლის მიერ ხელისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციური პრინციპია. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, და ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალით. სამართლის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის იდეამ რთული და ხანგძლივი ევოლუცია განიცადა. აბსოლუტური მონარქიის დროს მეფე თავად იყო კანონი და მისი ხელისუფლება შეუძღლდავი იყო. ასევე ამ იდეას არ იზიარებდნენ ჰობსი და რუსო. დიუგი კი განასხვავებდა პოზიტიურ და ნეგატიურ შეზღუდვას. დიუგის აზრით, ნეგატიური შეზღუდვისას უნდა დადგინდეს კანონები, რომლის მიღებაც სახელმწიფოს იურიდიულად არ შეუძლია, (მაგალითად ადამიანის წამება) ხოლო პოზიტიური შეზღუდვისას უნდა დადგინდეს ის კანონები, რომელიც გამოცემაც სახელმწიფოსთვის სავალდებულოა. (მაგალიტად ადამიანის უფლებები და თავისუფლებები)

სამართლის მიერ ხელისუფლების შეზღუდვის ფუნქცია გულისხმობს ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის იდეას. სახელმწიფოს დოქტრინა მოითხოვს, რომ ადამიანის თავისუფლება დაცული უნდა იყოს როგორც სახელმწიფოსგან, ისე სახელმწიფოს მეშვეობით.

სამართლის მიერ ხელისუფლების შეზღუდვის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ დემოკრატიულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებს. სამართლის მიერ ხელისუფლების შეზღუდვისას აუცილებელია ისეთი ინსტიტუტის არსებობა, რომელიც გააკონტროლებს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვას. ასეთი ინსტანცია კი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სასამართლო.

ხელისუფლების შეზღუდვის პრინციპი მნიშვნელოვანია ასევე დემოკრატიულ სახელმწიფოშიც, უმრავლესობა მმართველობა, რომელიც არ არის შეზღუდული სამართალითა და თავისუფლებების

იდეთ შესაძლოა ტირანიაში გადაიზარდოს.

სახელმწიფო ხელისუფლებაზე კონტროლის ფორმა ძლაუფლების გამიჯვნა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებად.

16.წინააღმდეგობის უფლება და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

წინააღმდეგობის უფლება არის მოქალაქის უფლება წინ აღუდგეს ხელისუფლების უკანონო მოქმედებებს, ჩაგვრასა და ხალხისკენ მიმართულ ძალადობას. წინააღმდეგობის უფლება მიმართულია სახელმწიფოში არსებული უსამართლო მართლწესრიგის, სისტემის მიმართ.

წინააღმდეგობის უფლება არ ნიშნავს, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფს შეუძლია გააუქმოს პარლამენტში დემოკრატიული უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან ხელი შეუშალოს მტავრობის კანონიერ საქმიანობას. წინააღმდეგობის უფლება არის უკიდურესი საქმიანობა, როდესაც სხვა ფორმით შეუძლებელი ხდება თავისუფალი დამოკრატისა და სამართლის დაცვა.

წინააღმდეგობის უფლება სუბსიდირებულია - იგი არ დაიშვება, თუ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აქვთ თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის დავის საშუალება.

წინააღმდეგობის უფლებას პოლიტიკური შინაარსი აქვს, მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული ქმედება შეუძლებელია მოწესრიგებული იყოს მართლწესრიგით. წინააღმდეგობის უფლება მაშინ გამოიყენება როდესაც მართლწესრიგი აღარ ფუნქციონირებს და დემოკრატიული წესრიგი დამხობილია.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უფლება არის მოქალაქეთა პროტესტის ფორმა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების კონკრეტული, ეთიკურად გაუმართლებელი, არალეგიტიმური გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

წინააღმდეგობის უფლებასა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას შორის არის შემდეგი განსხვავება: წინააღმდეგობის უფლება უპირისპირდება სისტემას, ხოლო სამოქალაქო დაუმორჩილებლობა - სახელმწიფოს ცალკეულ გადაწყვეტილებას.

საქამოქალაქო დაუმორჩილებლობის დროს მოქალაქეები დემონტრაციულად გამოხატავენ პროტესტს, მათი აზრით, არალეგიტიმური გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობისას ხდება საზოგადოებრივი წესრიგის სიმბოლური დარღვევა, რომელიც არ ატარებს ძალადობის ხასიათს. მისი მიზანია უკვე მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილების შეცვლა საჯარო პროტესტის გამოხატვით.

17.პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები

პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სამართალი ხშირად განიხილება, როგორც პოლიტიკის პროდუქტი, რამდენადაც პოლიტიკური პროცესები განსაზღვრავენ სამართლებრივი რეგულირების შედეგს. ფართოდაა გავრცელებული საწინააღმდეგო აზრიც, რომლის თანახმად სამართალი ყალიბდება პოლიტიკური სისტემისგან დამოუკიდებლად.

ერთმანეთისგან განსხვავებენ პოლიტიკურ და იურიდიულ აზროვნებას. პოლიტიკური აზროვნება ეფუძნება პოლიტიკური პროცესის მონაწილე სუბიექტების პირად მოსაზრებებს. იურიდიული აზროვნება ორიენტირებულია სამართლის წინასწარ დადგენილ ნორმებზე. პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოს საქმიანობით. სახელმწიფო სტრუქტურები ყალიბდება წინასწარ მოცემული პოლიტიკური სუბსტანციიდან.

სამართალსა და პოლიტიკას შორის ურთიერთკავშირი არსებითად გულისხმობს, რომ უნდა ვაღიაროთ სამართლის ან პოლიტიკის პრიმატი. პოლიტიკის მიმართ სამართლის უპირობო პრიმატს აღიარებდა ბუნებითი სამართლის თეორია. პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ბუნებითი სამართლის პრინციპების საფუძველზე.

სამართალი და პოლიტიკა სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისგან.

პოლიტიკა მრავალმხრივ არის დამოკიდებული სამართალზე. პოლიტიკური მართვა ვერ განხორციელდება ანარქიისა და უწესრიგობის პირობებში. პოლიტიკა ქმედითია მხოლოდ სტაბილური წესრიგის დროს. სტაბილურობა კი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

პოლიტიკისა და სამართლის გამიჯვნა განსაკუთრებით პრობლემატურია კონსტიტუციურ სამართალში. კონსტიტუციური სამართალი, არსებითად პოლიტიკური სამართალია.

18.სამართალი და ენა

სამართალი არის სამყარო და, როგორც ყველა სხვა სამყარო, არის ენის პროდუქცია. ენა ქმნის სამყაროს-ვისაც ენა აქვს, აქვს სამყარო. სამართლის ნორმა არის ენობრივ ფორმაში გამოხატული აზრობრივი სტრუქტურა. სამართლის სისტემა არეგულირებს ცხოვრების განსხვავებულ სფეროებს, აწესრიგებს ადამიანების ურთიერთობას ერთმანეთთან და საზოგადოებასთან. სამართალი ცხოვრობს სიტყვაში და სიტყვის მეშვეობით. ის, რაც არ შეიძლება გამოითქვას, ვერ მოწესტიგდება. სამართლებრივი მოთხოვნა მოცემულია ენობრივი ფორმით და ყველა სადავო სიტუაცია, წყდება ენობრივი ფორმით. წერილობითი ფორმა უზრუნველყოფს სამართლის თვალსაჩინოებას და ხელმისაწვდომობას. ენის შესახებ ცოდნა და კანონის ცოდნა ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავდება. სამართლის ნორმის ცოდნა ყოველთვის არის ექსპლიციტური ცოდნა. სამართლის ნორმა უნდა იყოს ნათლად და ზუსტად ფორმულირებული. სამართლის ნორმები მოქმედებენ საზოგადოების იმ წევრებისთვისაც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით მას არ იცნობენ-„კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან“. სამართლის ცოდნა გულისხმობს როგორც ქცევის განსაზღვრული წესების ცოდნას, ასევე იმ ინსტიტუტების ცოდნას, რომლებიც წარმოადგენენ ამ წესების დაცვის გარანტიას.

სამართლის ენა მაღალგანვითარებული დარგობრივი ენაა. სამართლის ენაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ენობრივი დონეები: 1)კანონის ენა 2)მეცნიერული ენა 3) განაჩენისა და გადაწყვეტილებების ენა 4)მოხელეთა ენა. კანონის დარგობრივ ენას ახასიათებს: 1)მისწრაფება ფორმალიზებისა და სტანდარტიზაციისკენ 2)ოფიციალური და ფუნქციური ხასიათი 3)ნომინალური, აბსტრაქტული და არაპერსონიფიცირებული სტილი 4)სიტყვათა ლექსიკური მარაგის გაფართოება და ცალკეული მორფოლოგიური თავისებურებანი.

კანონის ენა არის ავთენტიკური. დაუშვებელია კანონში რაიმე სიტყვის შეცვლა, თუნდაც, რომ აზრი არ იცვლებოდეს. კანონის ტექსტის შეცვლა ხდება მხოლოდ ყველა ფორმალური წესების დაცვით მიღებული ახალი კანონით.

19.სამართლის ენა, როგორც მეტაენა

მეტაენა არის ენა ენის შესახებ. მეტაენა აღწერს დედუქციური თეორიის ენის აღნაგობას, განმარტავს მას, მიუთითებს ამ ენის თავისებურებებს, იძლევა სხვა ენებთან შედარების შესაძლებლობას. მეტაენის აუცილებლობა და არსი ნათლად იკვეთება ე.წ. სემანტიკური ანტინომიების შემთხვევაში.

სემანტიკური ანტინომიის დროს ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულება თანაბრად შეიძლება დამტკიცდეს როგორც სწორი. სემანტიკური ანტინომიის გავრცელებული მაგალითია მატყუარა კრეტელის შემთხვევა - „ყველა კრეტელი მატყუარაა“-თქვა ერთმა კრეტელმა. თუ კრეტელის გამონათქვამი ჭეშმარიტია, მაშინ იგი მატყუარაა და, მაშასადამე, მისი მსჯელობაც მცდარია.

კრეტელის გამონათქვამი ზუსტად იმდენადაა ჭეშმარიტი, რამდენადაც იგი მცდარია.

ნორმატიული მსჯელობა არის მეტაენის ერთერთი სახე. ნორმათა ლოგიკა ერთმანეთისგან განასხვავებს ნორმატიულ(ჯერარსულ) და დეონტურ(წინადადებებს ჯერარსული წინადადებების შესახებ) წინადადებებს. დეონტური ლოგიკა იკვლევს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ტრადიციული ლოგიკის წესების გამოყენება ჯერარსული მსჯელობების მიმართ.

20.კანონის გაგების ასპექტები

კანონმდებელი უნდა აზროვნებდეს როგორც ფილოსოფოსი და ლაპარაკობდეს როგორც გლეხი-წერდა რუდოლფ ფონ იერინგი. კანონმდებლობის თანამედროვე თეორია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კანონის გასაგებად, ნათლად და ზუსტად გადმოცემის საკითხებს. კანონის ტექსტის გაგება ფერმენევტიკული ასპექტით გულისხმობს აზრობრივი ფორიზონტების შერწყმას ინტერპრეტატორსა და ინტერპეტირებულს შორის. გაგების კოგნიტურ ასპექტს აინტერესებს კანონის ტექსტის წაკითხვის პროცესში წარმოშობილი სირთულეები და ე.წ. კოგნატური დანახარჯები. ამ

ასპექტით საინტერესოა, თუ როგორი დასამუშავებელია კანონის ტექსტი- ადვილი თუ რთული. გაგების პრაგმატული ასპექტი გულისხმობს, რომ მკითხველმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს ნორმიდან ქვეყნის მოდელის „გამოყვანა“. ტექსტის აკუსტიკურ და ოპტიკურ აღქმას ეფუძნება კანონის გამოქვეყნების მოთხოვნა, რომელიც იურიდიულად განმტკიცებული იყო ჯერ კიდევ ანტიკურ წყაროებში . ასევე 12 ტაბულის კანონში. კანონის ტექსტის გაგება მოთხოვს მის მიერ რეგულირებული ფაქტობრივ ურთიერთობათა შესახებ ე.წ. წინა-ცოდნას. რთული სოციალური ურთიერთობა არ იძლევა მისი მარტივად წარმოდგენის საშუალებას. კანონის ტექსტი უნდა იყოს იმდენად სამართლებრივი სინამდვილე, რამდენადაც საჭიროა და ტექსტი იყოს იმდენად გასაგები , რამდენადაც ეს შესაძლებელია.

21. სამართალი, როგორც სისტემა

სამართლის სისტემა არის სამართლის ნორმების ურთიერთკავშირი. სამართალს ახასიათებს შინაგანი და გარეგანი სისტემურობა.

სამართლის გარეგანი სისტემურობას აყალიბებს სამართლის დარგების ერთობლიობა. ზოგადი სახით სამართალი იყოფა საჯარო და კერძო სამართლად.

საჯარო სამართალს განეკუთვნება შემდეგი დარგები: საკონსტიტუციო სამართალი, საგადასახადო სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საპროცესო სამართალი, საერთაშორისო სამართალი, საეკლესიო სამართალი.

კერძო სამართალი კი მოიცავს შემდეგ დარგებს: სამოქალაქო სამართალი, სავაჭრო სამართალი, საკორპორაციო სამართალი, ფასიანი ქაღალდების სამართალი, საპატენტო და საავტორო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი.

თუმცა არსებობს დარგები , რომლის დიფერენციაცია საჯარო და კერძო სამართლის მიხედვით რთულია. ეს დარგებია: სამეწარმეო სამართალი, შრომის სამართალი, სოციალური სამართალი, მას-მედიის სამართალი და სხვა.

დარგების მიხედვით სამართლის ნორმების კლასიფიკაციას უშუალო იურიდიული შედეგი არ აქვს. სამართლის გარეგანი სისტემა უზრუნველყოფს იურიდიული ნორმების მოძიებას, ინფორმაციის სწრაფ დამუშავებას და სხვ.

სამართლის შინაგანი სისტემურობა გულისხმობს სამართლის ნორმების აზრობრივ, ლოგიკურ ურთიერთკავშირს. სამართლის შინაგანი სისტემურობის სახეებია: აქსიომატური, აქსიოლოგიური და ტელეოლოგიური სისტემურობა.

დედუქციურ-აქსიომატური სისტემა გულისხმობს, რომ სამართალი გამომდინარეობს უმაღლესი აქსიომიდან, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას და არსებობს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. სამართალი, როგორც აქსიომატური სისტემა, გამომდინარეობს აქსიომატურად დადგენილი ძირითადი ნორმიდან.

აქსიოლოგიური სისტემის მიხედვით სამართლის სათავეში დგას უზენაესი ღირებულება. უზენაესი ღირებულება შეიძლება იყოს: სამართლის იდეა, სამართლიანობა, ადამიანის ძირითადი უფლებები.

ტელეოლოგიურ სისტემას აყალიბებს პოზიტიური სამართლის მიზნები.

ცნებათა სისტემურობა გულისხმობს სამართლის მეცნიერების ფუნქციონირებას მისი ცალკეული ცნებების საშუალებითა და ურთიერთკავშირით.

22. საჯარო და კერძო სამართალი (ადმინისტრაციული იუსტიციის შექმნა საფრანგეთში)

საჯარო და კერძო სამართალი ეფუძნება განსხვავებულ პრინციპებს. კერძო სამართალი აღიარებს პირადი ავტონომიის პრინციპს. რაც გულისხმობს ადამიანის მოქმედებას საკუთარი პასუხისმგებლობით. ინდივიდუალური ავტონომია დემოკრატიის ფუძემდებლური ღირებულებაა.

მისი გამოვლინებაა საკუთრების თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება. კერძო პირს გარკვეულ ფარგლებში შეუძლია იმოქმედოს სურვილის შესაბამისად.

კერძო სამართალი დისპოზიციური სამართალია. ის მოქმედებს სუბსიდირებულად, როდესაც მონაწილე მხარეები თავიანთი ნების შესაბამისად არეგულირებენ ამა თუ იმ ურთიერთობას. დისპოზიციური სამართალი ეფუძნება პირადი ავტონომიის იდეას.

საჯარო სამართალში კი მოქმედებს ლეგალურობისა და კანონით შებოჭვის პრინციპი. საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება არა მხარეთა ავტონომიით, არამედ დადგენილია კანონით. საჯარო სამართალში უმთავრესია კანონიერების პრინციპი. სახელმწიფო ორგანომ ყველა შემთხვევაში უნდა იმოქმედოს კანონის მოთხოვნის დაცვით. საჯარო სამართალი არეგულირებს მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს შერის ურთიერთობებს, შესაბამისად ეს ურთიერთობა იერარქიული ხასიათისაა. მოქალაქე განსაკუთრებულად უნდა იყოს დაცული და ამიტომაც მნიშვნელოვანია კანონიერების პრინციპი.

თუმცა ზოგიერთი კერძოსამართლებრივი ნორმა იმპერატიულად სავალდებულოა. იმპერატიულად სავალდებულო კერძო სამართლებრივი ნორმა კანონმდებელმა შეიძლება დაადგინოს სამართლებრივი უსაფრთხოების მიზნით, არაკეთილსინდისიერი მხარისგან დაცვის მიზნით, სოციალურად ნაკლებადუზრუნველყოფილი მხარის დაცვის მიზნით, საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით.

23. საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის თეორიები

ინტერესების თეორია დასაბამს იღებს რომელი იურისტის ულპიანესგან. ინტერესების თეორიის მიხედვით, საჯარო და კერძო სამართალი ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ ინტერესს ანიჭებს იგი უპირატესობას. ინტერესების თეორია დღეისთვის ნაკლებად არის გავრცელებული, რამდენადაც საჯარო და კერძო სამართლის ერთმანეთისგან გამიჯვნა უფრო რთული ხდება.

სუბორდინაციის თეორიის თანახმად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები თანასწორი არიან, მაშინ, როდესაც საჯარო სამართლისთვის დამახასიათებელია ურთიერთობის იერარქიული ხასიათი. კერძო სამართალი ეფუძნება თანასწორობისა და ინდივიდუალური ავტონომიის პრინციპს. საჯარო სამართალი, ძირითადად, აგებულია ვერტიკალურ, იერარქიულ ურთიერთობებზე. სუბორდინაციის თეორიაც ვერ იძლევა საჯარო და კერძო სამართლის ერთმანეთისგან მკაფიო განსხვავების შესაძლებლობას.

სუბიექტის თეორიის მიხედვით, საჯარო სამართლის ნორმის ადრესატია მხოლოდ სახელისუფლებო უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტი. სუბიექტის თეორია ეფუძნება განსხვავებას კერძო სამართლის იურიდიულ პირსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შორის. სუბიექტის თეორიაც სრულად ვერ ხსნის საჯარო და კერძო სამართალს შორის არსებულ განსხვავებას.

24. სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაცია

თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი ნაციონალური სამართლებრივი სისტემები შეიძლება დაიყოს სამართლებრივი ოჯახების მიხედვით. გამოყოფენ კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ოჯახს. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი მოიცავს ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს, რომელიც დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა რომაული, გერმანული და კანონიკური ტრადიციების საფუძველზე. კონტინენტური სამართლის ოჯახი ინგლისურ ენაზე აღინიშნება როგორც Civil law. ანგლოამერიკულ სამართლის ოჯახს კი უწოდებენ Common law-ს.

კონტინენტური სამართლის სისტემაში შეიძლება გამოიყოს „რომანული სამართლის“ და „გერმანული სამართლის“ ქვეყნები. რომანული სამართლის ჯგუფი ჩამოყალიბდა ნაპოლეონის ეპოქის კანონმდებლობის გავლენით. მის ქვეყნებს საფრანგეთის გარდა მიეკუთვნება ბელგია, ლუქსემბურგი,

მონაკო, ჰაიტი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები და სხვა. გერმანული სამართლის ოჯახს, გარდა გერმანიისა, მიეკუთვნება ავსტრია, ლიხტენშტაინი, შვეიცარია, თურქეთი, საბერძნეთი, საქართველო და სხვა.

ანგლოამერიკულ სამართლებრივ ოჯახში გამოყოფენ ინგლისური სამართლის ქვეყნებს და ამერიკულ სამართალს. ინგლისური სამართლის ქვეყნებს, გარდა ინგლისისა, მიეკუთვნება უელსი, ჩრდ. ირლანდია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა. ამერიკული სამართლის ქვეყნებს განეკუთვნება აშშ(გარდა ლუიზიანას შტატისა).

25. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი

კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის Corpus Juris Civilis-მა, რომლის მოქმედებაც დასავლეთ ევროპაში XI საუკუნიდან ვრცელდება. ბაბილონიისა და პავიას უნივერსიტეტებში იურიდიულ განათლებას საფუძვლად დაედო რომის სამართალი. უნივერსიტეტების გავლენით რომის სამართალი ფართოდ გავრცელდა ევროპაში. ეს პროცესი ბევრად დააჩქარა რომის სამართლის მეცნიერულმა გამოკვლევებმა, ასევე, ევროპული ცივილიზაციის ერთიანმა ხასიათმა. ევროპაში განხორციელებულმა დიდმა კოდიფიკაციებმა დააჩქარა ნაციონალური სამართლის სისტემების ფორმირების პროცესიც, ხელი შეუწყო სამართლის სისტემების ერთმანეთისგან გამიჯვნასაც.

ნაპოლეონის გამარჯვების შედეგად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მოქმედებდა გერმანიის, პოლონეთისა და იტალიის ნაწილში, ნიდერლანდებში. ბელგიასა და ლუქსემბურგში ის დღესაც მოქმედებს. გერმანიაში სამართლის კოდიფიკაცია განხორციელდა 1871 წელს მიღწეული პოლიტიკური ერთიანობის შემდეგ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი უფრო სისტემატიზებული იყო, ზუსტად ჩამოყალიბდა იურიდიული ცნებების შინაარსიც. აღიარებულია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იურისტებისთვის არის დაწერილი. ამ თვალსაზრისით ის განსხვავდება ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსისგან, რომლის გაგება არაიურისტებსაც შეუძლიათ. სრულყოფილი იურიდიული ტექნიკითა და მარტივი ენით გამოირჩევა შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ბრაზილიის, თურქეთისა და ჩინეთის სამოქალაქო კანონმდებლობის განვითარებაზე.

26. ანგლოამერიკული სამართლის ოჯახი

ანგლოამერიკულ სამართალს განეკუთვნება ინგლისის სამართალი, დიდი ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნებისა და ბრიტანეთის იმპერიის ყოფილი კოლონიების სამართალი, ასევე აშშ-ს სამართალი. დიდ ბრიტანეთში დღემდე მოქმედებს ფიქცია, რომლის თანახმადაც უზენაეს მართლმსაჯულებას ახორციელებს პარლამენტის ზედა პალატა. თუმცა, სინამდვილეში საქმე ეხება პარლამენტისგან განცალკევებულ, დამოუკიდებელ სასამართლოს. თანამედროვე ინგლისელ მოსამართლეთა შეხედულებები ნაკლებად განსხვავდება კონტინენტური ევროპის მოსამართლეთა შეხედულებებისგან.

ბრიტანული სამართლის სისტემისგან რამდენადმე განსხვავდება ამერიკული სამართალი. ამავე დროს, ამერიკული სამართლის მეთოდოლოგია ბრიტანულის მსგავსია. ამერიკულ და ინგლისურ სამართალს შორის განსხვავება, ძირითადად, ეფუძნება პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებს. ამერიკის შტატებს აქვთ ფართო კანონშემოქმედებითი უფლებამოსილებები. ამერიკული სამართალი აყალიბებს ერთიან სისტემას, სამართლის სკოლებში ისწავლება როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა. ამერიკული სამართლის ერთიანობაზე ზრუნავს სამართლის მეცნიერება და მთელი რიგი ნაციონალური ორგანიზაციები. მათი ხელშეწყობით მთელი ქვეყნის იურისტებს შორის მყარდება მუდმივი კონტაქტები, მიმდინარეობს მუშაობა ერთიან პროექტებზე.

27. განსხვავება ანგლოამერიკულ და კონტინენტურ სამართლის სისტემებს შორის

კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკულ სამართლის ოჯახის ქვეყნებს შორის არსებული განსხვავება უკავშირდება პოზიტიურ კანონმდებლობას, როგორც სამართლის წყაროს. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სამართლის უმთავრესი წყაროა პოზიტიური კანონმდებლობა, ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში კი სამოსამართლო პრეცედენტი. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით, პრეიდუციებს არ აქვთ მხოკველი ძალა. საქართველოში მოსამართლე კონტინენტური სამართლის ქვეყნების მსგავსად არ არის შებოჭილი სამოსამართლო სამართლით. შედარებით უმნიშვნელოა კონტინენტურ ევროპასა და ანგლოამერიკულ ოჯახს შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი განსხვავებაც. ეს განსაკუთრებით ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს. საკუთარი უფლებების დაცვა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში უფრო „იაფია“, ვიდრე ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში.

მათ შორის უმთავრესი განსხვავება ეფუძნება იურიდიული აზროვნების წესსა და მეთოდებს. კონტინენტური ევროპის იურიდიულ აზროვნებას ახასიათებს მეცნიერული სტილი. მისგან განსხვავებით კი ინგლისში ბატონობდა აზროვნების სამოსამართლო სტილი. ბრიტანელი მოსამართლე კონცენტრირებული იყო კონკრეტულ შემთხვევაზე, მაშინ როდესაც კონტინენტურ ევროპაში სამართლის პროფესურა ანალიზებდა ზოგად და არა კონკრეტულ შემთხვევებს. კონტინენტური ევროპის იურიდიული აზროვნების წესი დედუქციურია-მიმართულია ზოგადიდან კონკრეტულისკენ. ანგლოსაქსური იურისტის აზროვნება ინდუქციურია-მიმართულია კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

სამართლის კონტინენტურ და ანგლოამერიკულ სისტემებს შორის არსებული განსხვავება ნელ-ნელა ქრება. არსებითად შეიცვალა მოსამართლეთა როლიც.